

## პროფესიული კოლეჯი „ფერმერთა სკოლა“ საგარეჯოში (ფილიალი სოფელ სართიჭალაში)

ბოლო ათწლეულის განმავლობაში სოფლის მოსახლეობის წინაშე ბევრი გამოწვევა დადგა: რთული სამუშაო და საცხოვრებელი პირობები, სამეურნეო ცოდნისა და სამეწარმეო უნარის დეფიციტი.

სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელი შეუშალა ნიადაგის არასწორმა დამუშავებამ, არასერთიფიცირებული სათესლე მასალის გამოყენებამ, სასუქების და პესტიციდების ჭარბმა რაოდენობამ, თესვის ვადების დარღვევამ, ტექნიკის სიმცირემ, მოშლილმა საირიგაციო და სადრენაჟო სისტემებმა და სხვა მიზეზებმა.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია განათლებისა და გადამზადების დახვეწილი სისტემის არსებობა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ფერმერისაგან ცოდნას და განათლებას მოითხოვს, მაგრამ მცირე ფერმერთა უმეტესობას ამაზე ხელი არ მიუწვდება.

ამ მიზნით, 2014 წლის გაზაფხულიდან, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდმა „ლაზარემ“ დაიწყო პროექტი „ფერმერთა სკოლა კახეთის რეგიონში“, რომელიც შვეიცარიული ორგანიზაცია HEKS/EPER-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს საპატრიარქოს კონტრიბუციებზე დაყრდნობით (2014-2016 წწ).

ადგილობრივი მაცხოვრებლების ინტერესების გათვალისწინებით გადაწყდა პროექტი ყოფილიყო სოფლის მეურნეობაში საგანმანათლებლო მიმართულების, აქცენტით მეფუტკრეობასა და მებოსტნეობაზე, რომლისთვისაც შეირჩა სოფელ ნინოწმინდაში, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არსებული შენობა და მისი მიმდებარე ნაკვეთი; შეიქმნა სასწავლო ბაზა: სალექციო აუდიტორია, ბიბლიოთეკა; აშენდა საწყობი, სათბური; ასევე, შემენილ იქნა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, ფუტკრის ოჯახები და მიწის ნაკვეთი პრაქტიკული მეცადინეობებისთვის.

სასწავლო პროგრამების (თეორიული და პრაქტიკული კურსები) შედგენა მოხდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრიდან მოწვეული მაღალკვალიფიციური კადრების მიერ. სპეციალური საგნების გარდა, სასწავლო პროგრამა მოიცავს ბიზნესის და მარკეტინგის ტრენინგებს, სასწავლო ესკურსებს, ფაკულტატურ ლექციებს.

„ფერმერთა სკოლა საგარეჯოში“ 2015 წლის ბოლოს დასრულდა, მაგრამ „ლაზარემ“ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პროექტი რეგიონში საკმაოდ წარმატებული

აღმოჩნდა, ამიტომ მისი მდგრადობისა და მომავალი განვითარებისთვის დააფუძნა ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ფერმერთა სკოლა“, სადაც 2016 წლიდან დღემდე მსურველებს შესაძლებლობა აქვთ სრულიად უფასოდ დაეუფლონ პროფესიულ პროგრამებს (დაფინანსებულია საქართველოს საპატრიარქოს მიერ).

2016 წელს, შვეიცარული ორგანიზაცია HEKS/EPER-ის თანადგომით გაიხსნა „ფერმერთა სკოლის“ ფილიალი გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში, სადაც ასევე უფასოდ ისწავლება შემდეგი სპეციალობები: ფერმერი, მეხილე, მეფუტკრე, მებოსტნე და მეცხოველე.

პროექტი ორიენტირებულია სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია არსებულ ბაზარზე, გაუწიოს ორგანიზება და გაამარტივოს შეხვედრები მის მესვეურებთან (ბითუმად მოვაჭრეებთან, გადამამუშავებელ საწარმოებთან); სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ, მომდევნო წელს, ბენეფიციარებს, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი ფერმა, ბაღი, ფუტკრის ოჯახები და აგრეთვე, ვინც შეიძენს საჭირო უნარებს, რათა მართოს საკუთარი ბიზნესი, „ფერმერთა სკოლა“ დაეხმარება მათ ბაზრის მოძიებაში, მასთან დაკავშირებასა და წარმოებული პროდუქციის რეალიზებაში.

პროექტის ფარგლებში „ლაზარესთან“ მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს საპატრიარქო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აგრარული უნივერსიტეტი, გარდაბნის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი, ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“.